



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №23
2018 წლის 15 თებერვალი
ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N4 დადგენილებაში (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 17/11/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.138.016283) დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1-ის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

5.	პოლიტიკური თანამდებობის პირი - საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	5	1000
----	--	---	------

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე, ხოლო მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 თებერვლიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გელა ნოზაძე